,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N71/2024 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

*თბილისი* 2024 წლის 18 ივლისის

თსუ რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N143/01-01 ბრძანების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N71/2024 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი:

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)-წევრი
თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ-პროფესორი)-წევრი

კონკურსი იყო გამოცხადებული ხუთ კათედრაზე:

1. სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ა-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

2. თერაპიული სტომატოლოგიის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ა -კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

3. მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

4. კლინიკური ქირურგიის კათედრა I

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) სამი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა სამმა კონკურსანტმა.

5. შინაგან დაავადებათა კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ორი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა ორმა კონკურსანტმა.

საბუთების მიღება როგორც კი დასრულდა, კომისიას გადაეცა კონკურსანტების საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ შემოტანილი საბუთები (ოქმი N1) კონკურსანტების საბუთები განხილულ იქნა ცალ-ცალკე; შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების და შესაბამისი ფორმების შევსებით. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში, ჩაითვალა დადებითად და კონკურსანტები დაიშვა მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტებთან გასაუბრება შედგეს 18 ივლისს 15:00 საათიდან - 15:50 საათამდე - წარმოდგენილი კონკურსანტების გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტებს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

18 ივლისს 15 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2). აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა ყველა წევრი.

<u>15:00 საათიდან -15:50 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორებმა: ვალერიან აბულაძემ, ირინა ბარბაქაძემ, ლიუდმილა ბარბაქაძემ, თორნიკე გვაზავამ, ნინო დოლიძემ, თამარ კიკალიშვილმა, გია ლურსმანაშვილმა, გიორგი ხეროდინაშვილმა. გასაუბრება შეეხო მათ სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

იმავე დღეს 16 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. დადებითად შეაფასა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტების მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 40 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა -

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ვალერიან აბულაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ირინა ბარბაქაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ლიუდმილა ბარბაქაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თორნიკე გვაზავას არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ნინო დოლიძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თამარ კიკალიშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ გია ლურსმანაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ გიორგი ხეროდინაშვილის არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

ერთხმად დაადგინეს:

მედიცინის დოქტორი ვალერიან აბულაძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ირინა ზარზაქაძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ლიუდმილა ზარზაქაძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი თორნიკე გვაზავა გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ნინო დოლიძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი თამარ კიკალიშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი გია ლურსმანაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი გიორგი ხეროდინაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილე კანდიდატები მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ სტუდენტებთან: უწევდნენ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო შრომების მომზადებაში; ასევე, მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს კლინიკური უნარების ათვისებაში.

კომისიის აზრით:

მედიცინის დოქტორი ვალერიან აბულაძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ა“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, ვინაიდან იგი

წლების განმავლობაში იყო ამავე კათედრის ასისტენტ-პროფესორი და წარმატებით ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სტუდენტებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით;

მედიცინის დოქტორი ირინა ბარბაქაძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ა") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან იგი წლების განმავლობაში წარმატებულად მუშაობდა ამავე კათედრაზე; არის გამოცდილი პედაგოგი და ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში;

მედიცინის დოქტორი ლიუდმილა ბარბაქაძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან წარმატებით უძღვება სტუდენტებთან მუშაობას; აქვს სტუდენტებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

მედიცინის დოქტორი თორნიკე გვაზავა იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან არის ღირსეული და ჭკვიანი. პოპულარობით სარგებლობს სტუდენტთა შორის.

მედიცინის დოქტორი ნინო დოლიძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

მედიცინის დოქტორი თამარ კიკალიშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან არის ძალიან შრომისმოყვარე თანამშრომელი და ყურადღებიანი სტუდენტების მიმართ.

მედიცინის დოქტორი გია ლურსმანაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან არის მშრომელი და წარმატებული პედაგოგი.

მედიცინის დოქტორი გიორგი ხეროდინაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან იგი არის შრომისმოყვარე, თავისი საქმის პროფესიონალი და აქვს სტუდენტებთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

_______________________

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_______________________

ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_______________________

ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი

_______________________

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_______________________

თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ- პროფესორი)